ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით კენჭისყრის შენობაში შესვლის/გამოსვლის და შენობაში ყოფნის/გადაადგილებისას დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტის და მედიის წარმომადგენლების საყურადღებოდ!



კენჭისყრის შენობაში შესვლამდე საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირთან გაიარეთ თერმოსკრინინგი (ტემპერატურის შემოწმება). ცხელების – 37° C ან 37° C-ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, ჩაგიტარდებათ ტემპერატურის განმეორებითი გადამოწმება (5-წუთიან შუალედში).

> განმეორებით ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში დამკვირვებელი, საარჩევნო სუბიექტის და მედიის წარმომადგენელი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში.

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით.

კენჭისყრის შენობაში შესვლისას და შენობაში ყოფნის პერიოდში გამოიყენეთ პირბადე.

პირბადის გამოყენება არ მოგეთხოვებათ, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გიჭირთ პირბადის ტარება, რაც დასტურდება სამედიცინო/ექიმის ცნობით, ან შესაბამისი ავადმყოფობის შესახებ რაიმე ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტით.

> პირბადის ტარების წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის და მედიის წარმომადგენელს მიეცემა გაფრთხილება. თუ გაფრთხილების მიუხედავად, პირი აგრძელებს პირბადის ტარების წესის დარღვევას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მას დატოვოს კენჭისყრის შენობა. თუ დამრღვევი არ ტოვებს კენჭისყრის შენობას, საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მისი კენჭისყრის შენობიდან გაძევების თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება პოლიციის გამოძახება.

თუ კენჭისყრის შენობაში ყოფნისას გამოიკვეთა განმეორებითი თერმოსკრინინგის საჭიროება და შემოწმების შედეგად დაგიდასტურდათ ცხელება, უნდა დატოვოთ კენჭისყრის შენობა.

> თუ განმეორებითი თერმოსკრინინგის შედეგად ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში დამკვირვებელი, საარჩევნო სუბიექტის ან მედიის წარმომადგენელი არ ტოვებს კენჭისყრის შენობას, საუბნო საარჩევნო კომისია დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მისი კენჭისყრის შენობიდან გაძევების თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება პოლიციის გამოძახება.

თუ ცხელების დაფიქსირების გამო, კენჭისყრის შენობაში არ იქნა დაშვებული ან კენჭისყრის შენობა დატოვა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს დანიშნოს სხვა წარმომადგენელი, რომელიც კენჭისყრის შენობაში დაიშვება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში დანიშვნის შესახებ ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ.

კენჭისყრის შენობაში განთავსებულ დახურულ კონტეინერში მოათავსეთ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცები და სხვა ჰიგიენური ნარჩენები.

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი